სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.140.000.367

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26

2010 წლის 4 აგვისტო

დ. ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება (დანართი №1).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სახანძრო დაცვის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 აგვისტოს №65 დადგენილება.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ა.მელიქიძე

დანართი №1

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება

მუხლი 1. სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური

1. სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახანძრო დაცვისა და სამაშველო საქმიანობის განხორციელებას – ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების და სხვა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციას.

2. სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან – განყოფილებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სახანძრო დაცვისა და საშველო განყოფილება;

ბ) საშუალო, უმცროს მეთაურთა და რიგით თანამშრომელთა ქვედანაყოფი.

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი (სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის დებულების მე-10 მუხლით, მე-13 მუხლის მე-8 პუნქტითა და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ერთ-ერთი ქვედანაყოფის მოხელე.

4. სტრუქტურული ქვედანაყოფი შედგება ქვედანაყოფების მოხელეებისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით და მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობით.

5. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება გამგეობის დებულებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. ქვედანაყოფების მოხელეების ფუნქციები განისაზღვრება შესაბამის სამუშაოთა აღწერილობით.

7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურის გავლის წესები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, კანონის „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ" და „სახანძრო-სამაშველო სამსახურში სამსახურის გავლის წესის შესახებ" შესაბამისად.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით სამცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში უზრუნველყოფს:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახანძრო დაცვისა და სამაშველო საქმინობის განხორციელებას – ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციას, კერძოდ:

ა) სახანძრო დაცვის, სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, ამ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას, სახანძრო დაცვისა და სამაშველო მუნიციპალური ობიექტების მართვას, ამასთან:

– ახორციელებს ხანძრის ჩაქრობის, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების და სხვა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციისათვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ეფექტურად გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნას;

– სასიცოცხლო უზრუნველყოფის სამსახურებთან ურთიერთქმედების ორგანიზებას, შესაბამისი თანამდებობის პირებისაგან წყალმომარაგების, კავშირგაბმულობისა და სხვა სისტემების დაზიანებების აღმოფხვრის უზრუნველყოფას, აგრეთვე სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის ტექნიკის შეუზღუდავი მოძრაობისათვის ზომების მიღებას;

– მუნიციპალურ სამსახურებთან და სხვა ორგანიზაციებთან საერთო ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებას;

– სახანძრო დაცვისა და სამაშველო ძალებისა და საშუალებების აღრიცხვა-კონტროლს, სამსახურის პირადი შემადგენლობის თანამდებობების პირების

პროფესიულ მომზადებას, ტაქტიკური სწავლებების, შეკრებების, ტრენინგების ჩატარებას;

– შეიმუშავებს დიდი ხანძრებისა და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში პირადი შემადგენლობის ჩაბმის ღონისძიებებს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ხანძარზე და სამაშველო ოპერაციებზე გასვლის განრიგსა და გეგმას, რომელიც თანხმდება ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

ბ) საშუალო, უმცროს მეთაურთა და რიგით თანამშრომელთა მეშვეობით განახორციელებს:

– დადგენილი წესით სამსახურის საქმისწარმოებას, გამოძახებათა რეგისტრაციას, ხანძრის ჩაქრობის შტატგარეშე ოპერატიული შტატების შექმნას;

– სამსახურის ტექნიკური საშუალებების მუდმივ მზადყოფნას, გაუმართაობების ოპერატიულად აღმოფხვრას, ტექნიკის მოვლა-პატრონობის კონტროლს, აგრეთვე საავარიო-სამაშველო მოწყობილობების, სათავსების, სხვადასხვა სახის ინვენტარის მორიგე ცვლებისათვის გადაბარების წესების დაცვას, სახანძრო-სამაშველო-სამწყობრო მომზადების ნორმატივების შესრულებისათვის ზომების მიღებას;

– გასვლაში მყოფ სახანძრო ავტომობილებზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შენახვისა და მოვლის წესების კონტროლს;

– შრომის დაცვისა და უსაფრთხოების, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, ტექნიკის წესების შესრულების პირადი შემადგენლობის მიერ კონტროლს, დანაყოფის გასვლას რაიონში, ამ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი აფეთქებასაშიში თუ ხანძარსაშიში ობიექტების განლაგების, წყალმომარაგების, გასასვლელების, ქუჩების შემოვლითი გზების და სხვა მახასიათებლების ცოდნის კონტროლს.

2. სამსახური ჩართულია საქართველოს ტერიტორიაზე და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე სახანძრო დაცვის ძალებისა და საშუალებების გამოყენების ურთიერთდახმარების შეთანხმებაში.

3. მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება

1. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს, მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დებულების ძალაში შესვლა

ეს დებულება ძალაშია მისი გამოქვეყნების დღიდან.